

# პოლიტიკური დისკურსის მულტიმოდალური ანალიზი კინოში

კახა ჩანქსელიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : სალომე ლაფაჩიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

კახა ჩანქსელიანი

26.06.2019

## აბსტრაქტი

კინო კომუნიკაციური კულტურის ცოდნის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა. კინოსამყარო, როგორც ქართულ, ისე უცხოურ საზოგადოებაში, დიდი პოპულარობით სარგებლობს, ყოველდღიურად იქმნება ახალი ჟანრის და სტილის ფილმები. მათი საშუალებით, მაყურებელს საშუალება ეძლევა მიიღონ არაფორმალური განათლება ამ გზით.

კვლევის საგანს წარმოადგენს ისტორიული პირების, კერძოდ, ინგლისურენოვანი პოლიტიკური რიტორიკის საუკეთესო ნიმუშების შემქმნელი ლიდერების, ლინკოლნის და ჩერჩილის პოლიტიკური ენის ასახვა კინოში და უშუალოდ მათში გამოყენებული სემანტიკური სტრუქტურის და დისკურსული სტრატეგიების განხილვა და მათი ქართულ ენაზე თარგმანის შესწავლა.

ნაშრომში შედარებულია ამ პოლიტიკოსების ბიოგრაფიულ მხატვრულ ფილმებში გამოყენებული სიტყვების ინგლისურენოვანი ვარიანტის ანალიზი და შედარებულია ქართულად თარგმნილ ვარიანტს.

გარკვეულია თუ როგორაა ეს დისკურსების ორიგინალ ტექსტებში გადმოტანილი, როგორაა ქართლში და როგორ ახერხებს ფილმი ამ საშუალებებით, ამ პირების ეთოსის, პათოსის, ლოგოსის და ზოგადად რიტორიკული შესაძლებლობების აღწერას და გადმოცემას მაყურებლებამდე.

## **Abstract**

Cinema is one of the best sources of communication culture. The film industry is very popular in both Georgian and foreign societies, with new genres and styles of films being created daily. By means of them, the viewer is given an opportunity to get informal education in this way.

The subject of the research is to reflect the political language of historical figures, namely the creation of the best examples of English-language political rhetoric, Lincoln and Churchill in the cinema and discuss the semantic structures and discourse strategies used in them and study the translation in Georgian language.

In this work the analysis of the English version of the words used in the biographical films of these politicians is comparable to the version translated into Georgian.

This study examines how this discourse has been transmitted into the original texts in the Georgian language and how the film is managed by these phenomena, describing these people's ethos, pathos, logos and rhetorical capabilities to the viewers.